ხაშურის მოამბე

№4 23 ივნისი, სამშაბათი, 2015 წელი

ოლიმპიური ჩირაღდანი ხაშურში

დათვლილი დღეებიღა დარჩა ახალგაზრდულ ოლიმპიადამდე, რომელიც ჩვენი ქვეყნის დედაქალაქში უნდა გაიმართოს. ოლიმპიური ცეცხლი კი, რომელიც, ტრადიციულად, საბერძნეთში ინთება, უკვე საქართველოშია და ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებში „მოგზაურობს“. 17 ივნისს, ოლიმპიური ჩირაღდნის მასპინძელი ხაშური გახდა. ჩირაღდნის შესახვედრად და ზეიმისათვის დიდი შრომა გასწია გამგეობის კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურმა, მაგრამ, თბილისში დატრიალებული ტრაგედიის გამო, პროგრამა შეიცვალა და იგი, ასე ვთქვათ, „მოკრძალებული“ გახდა.

ხაშურის ცენტრალური ქუჩის დასაწყისში ჩირაღდანი რაიონის ყველაზე ტიტულოვანმა სპორტსმენმა, მონრეალის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორმა რამაზ ხარშილაძემ ჩაიბარა და ესტაფეტა ქალაქის ცენტრისკენ დაიძრა. ესტაფეტაში კი მას ენაცვლებოდნენ ცნობილი ვეტერანი რაგბისტი თემურ რუხაძე, მსოფლიო ჩემპიონი ბატუტზე ხტომაში ზაზა აბრამაშვილი, მსოფლიო ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის გიორგი ნოზაძე, მსოფლიოს თასის მფლობელი ძიუდოში და ევროპის პრიზიორი სამბოში ზურაბ ნოზაძე, მსოფლიოს ორგზის პრიზიორი და ოლიმპიური თამაშების ორგზის პრიზიორი ახალგაზრდებს შორის გელა ბარათაშვილი, საქართველოს კალათბურთელთა ნაკრების წევრი მარიამ ღარიშვილი და მსოფლიოსა და ევროპის ორგზის ჩემპიონი ჭაბუკებს შორის ჭიდაობა სამბოში გიორგი მეტრეველი.

ქალაქის ცენტრში შეკრებილი მრავალრიცხოვანი აუდიტორია ოვაციებით შეეგება ოლიმპიურ ჩირაღდანს. მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ვაჟა შუბითიძემ ყველას მიულოცა ეს დღე და აღნიშნა, თუ რა მნიშვნელოვანია ამ ჩირაღდნის საქართველოში ყოფნა, რომელიც, ერთგვარად, მშვიდობის, ერთობის, თანადგომის, ხალხთა მეგობრობის თავისებური სიმბოლოა და მსოფლიოს ყველა ეროვნების ხალხს აერთიანებს.

მაშ, ასე, მსოფლიოს იმ ქალაქების რიცხვს, სადაც ოლიმპიურ ჩირაღდანს თუნდაც ერთი დღე დაუდევს ბინა, ხაშურიც შეუერთდა. ეს კი, ჩვენი პატარა ქალაქისათვის მართლაც ბევრს ნიშნავს.

გ. მაღრაძე

შპს „ხაშურის სტამბა“ – შიდა ქართლში პირველი, საქართველოში – მეხუთე

ამ დღეებში, ნაციონალური ბიზნეს-რეიტინგების კავშირმა გამოაქვეყნა საქართველოს საწარმოების საყოველთაო-სახელმწიფო რეიტინგები 2013-2014 წლების შედეგების მიხედვით, სადაც, სტატისტიკური რანჟირების მიხედვით, ხაშურში დაარსებული და მოქმედი შეზღურული პასუხისმგებლობის სახოგადოება „ხაშურის სტამბა“ საქართველოს ტოპ-25 საწარმოს შორის მეხუთე, ხოლო შიდა ქართლში პირველია. ეს საოცრად დიდი წარმატებაა და, რა თქმა უნდა, ვულოცავთ მის დირექტორს ქალბატონ თამარ ჩადუნელს და მთელ კოლექტივს ამ მიღწევას. ორ ათეულ წელზე მეტია ეს შპს, რომელიც დირსეულმა და ბრწყინვალე პიროვნებამ ბატონმა თამაზ ტაბატაძემ დააფუძნა, ემსახურება ხაშურს და ხაშურელებს. შესანიშნავი მენეჯმენტი, კლიენტზე მორგებული მომსახურება, აბსოლუტურად მიმზიდველი ფასები, თბილი გარემო... ყველაფერი ეს ჯამში ქმნის იმას, რაც ასე იზიდავს მომხმარებელს. ერთი საინტერესო დეტალიც: საქართველოში საუკეთესოდ დასახელებულ 25 საწარმოს ხელმძღვანელთა შორის ქალბატონი თამარი ერთადერთი ქალბატონია.

სრული კომპიუტერული მომსახურება, ფერადი ბეჭდვა, გარე და შიდა რეკლამის დიზაინი და დამზადება, მაისურებზე, კეპებზე, ნებისმიერი სახის ჭურჭელზე შეკვეთილი გამოსახულების მიღება, საკანცელარიო ნივთები... აი, ის ძირითადი ჩამონათვალი, რასაც ეს შპს მომხმარებელს სთავაზობს.

სასიამოვნოა, ძალზე სასიამოვნოა, რომ ხაშურში მოქმედი მცირე საწარმო საქართველოს მასშტაბით ერთ-ერთი საუკეთესოა, შიდა ქართლში კი ლიდერობს.

კიდევ ერთხელ ვულოცავთ ამ შპს-ს მთელ კოლექტივს ამ დამსახურებულ წარმატებას.

გ. მაღრაძე

ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობა,ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ხაშურის მუნიციპალიტეტის ყოფილი გამგებელი

რევაზ ჯობაძე

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი ვალერი გელაშვილი იუწყება, რომ გარდაიცვალა ხაშურის მუნიციპალიტეტის ყოფილი გამგებელი

რევაზ ჯობაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

<u>სპეციალისტი გვირჩევს</u>

კარტოფილის მოყვანის ტექნოლოგია

კარტოფილი მნიშვნელოვანი სასურსათო, ტექნიკური და საკვები კულტურაა. მოსახლეობის კვების ბალანსში მას მეორე ადგილი უჭირავს პურეულის შემდეგ.

კარტოფილი მიეკუთვნება ძაღლყურძენისებრთა ოჯახს და წარმოადგენს ორლებნიან, თვითმტვერია ბალახოვან მცენარეს.

კარტოფილის სამშობლოდ ითვლება სამხრეთი ამერიკა. ევროპაში ესპანელებმა შემოიტანეს მე-16 საუკუნეში.

კარტოფილის პირველი ნათესები საქართველოში მე-19 საუკუნის მეორე ათწლეულში გაჩნდა.

ეს კულტურა, ძირითადად, აღმოსავლეთ საქართველოს მთიან რაიონებში მოჰყავთ; გარემო პირობების მიმართ შეგუების დიდი უნარის გამო, კარტოფილის გავრცელების არეალი საკმაოდ ფართოა, მაგრამ მცენარე ყველგან ერთნაირად ვერ ხარობს.

მიუხედავად იმისა,რომ ხაშურის მუნიციპალიტეტისათვის კარტოფილი არატრადიციული კულტურაა, ფერმერები რამდენიმე წელიწადია ამ მცენარის უხვ მოსავალს იღებენ სოფელ ვაყაში და სხვა სოფლებშიც.

კარტოფილის კულტურიდან ჩვენთვის მთავარია ტუბერი.

მცენარის ნორმალური განვითარებისათვის საჭიროა გრილი და ნალექებით უზრუნველყოფილი ჰავა. დაბლობ და ცხელ ადგილებში კარტოფილის მოსავალი მცირეა.

ტუბერები გაღივებას იწყებს 4 – 5 გრადუსი სითბოს პირობებში, მაგრამ მისი ნორმალური აღმოცენებისათვის საჭიროა +10 – 12 გრადუსი. მცენარე ვერ იტანს მცირე ყინვასაც კი.

ტუბერის განვითარებისათვის საუკეთესო ტემპერატურაა 16 – 18 გრადუსი სითბო ნიადაგში. 2 გრადუსი სითბოს პირობებში მცენარე აჩერებს ზრდას, ხოლო 25 გრადუსზე ზევით მცენარე განიცდის გადაგვარებას.

ნიადაგის 29 გრადუსზე გათბობის დროს ტუბერის განვითარება წყდება.

კარტოფილი დიდ მოთხოვნილებას იჩენს სინათლის მიმართაც, იგი ვერ იტანს დაჩრდილულ ადგილებში დარგვას.

კარტოფილის ტუბერი ნორმალური განვითარებისთვის საჭიროებს ფხვიერ და ნოყიერ ნიადაგს, საუკეთესო ნიადაგებად ითვლება ქვიშნარი და თიხნარი მიწები, ახოები და ნეშომპალით მდიდარი ტყის ნიადაგები; კარტოფილის კარგი მოსავალი მოჰყავთ მთის შავმიწა, ყავისფერ, აგრეთვე, ჩვეულებრივ ალუვიურ ნიადაგებზე.

კარტოფილისათვის ნიადაგის არეს რეაქციის ოპტიმალური მაჩვენებელია PH 5 – 7

კომერციული მიზნებისათვის მუნიციპალიტეტში გავრცელებულია კარტოფილის შემდეგი ჯიშები: მარფონა, იმპალა, პიკასო, ნევსკი, აგრია, ჯელი, სილვანა და ა.შ. ისინი ვეგეტაციის სხვადასხვა ხანგრძლივობით ხასიათდებიან.

კარტოფილის მაღალი მოსავლის მისაღებად უპირველესი მოთხოვნაა თესლბრუნვის დაცვა; 3 – 4 წელზე ადრე კარტოფილის პირვანდელ ადგილზე დაბრუნება დაუშვებელია. არ შეიძლება კარტოფილის დარგვა იმ ნაკვეთში, სადაც წინა წელს მოყვანილი იყო პომიდორი, ბადრიჯანი, წიწაკა. კარტოფილისათვის კარგი წინამორბედებია საგაზაფხულო თავთავიანი პურეული, სიმინდი, ერთწლოვანი პარკოსანი ბალახები.

ტუბერი სახნავ ფენაში იზრდება და ვითარდება, ამიტომ კარტოფილისათვის ნიადაგი საჭიროებს კარგ დამუშავებას. ნიადაგი უნდა მოიხნას შემოდგომით „მზრალად" 25 – 27 სანიტიმეტრ სიღრმეზე; გაზაფხულზე, როგორც კი თოვლი გადნება და შეშრება ნიადაგის ზედაპირი, აწარმოებენ ხნულის დაფარცხვას.

საკარტოფილე ნაკვეთის სასუქებით განოყიერება უნდა ჩატარდეს ნიადაგის აგროქიმიური ანალიზის მონაცემების მიხედვით; თუ ეს არ გაგვაჩნია, მიზანშეწონილია 1 ჰექტარზე შევიტანოთ 20 – 40 ტონა გადამწვარი ნაკელი, აგრეთვე, ძირითადი საკვები ელემენტები შევიტანოთ შემდეგი საორიენტაციო მონაცემებით (სუფთა ნივთიერებაზე გადაანგარიშებით): აზოტი 120 – 150 კგ, ფოსფორი 150 – 160 კგ, კალიუმი 150 – 200 კგ. უნდა გამოვიყენოთ მაგნიუმის, სპილენძის, ბორის, სხვა მიკროელემენტების შემცველი სასუქები.

კარტოფილისათვის საუკეთესო სასუქია ნაცარი, 1 ჰა-ზე 6 – 7 ცენტნერის ნორმით.

კარტოფილი მრავლდება ტუბერებითა და თესლით სარგავ მასალად გამოიყენება 60 – 70 გრამიანი საშუალო სიდიდის ტუბერები. სიმსხოსა და კვების არის მიხედვით 1 ჰა-ზე საჭიროა 2.5 – 3 ტონა სარგავი მასალა. დარგვის წინ სათესლე ტუბერები უნდა დამუშავდეს „პრესტიჟით",1 ლიტრი პრეპარატი გაიხსნება 10 – 15 ლიტრ წყალში და მოსხურდება ერთ ტონა მასალას.

კარტოფილი ირგვება მაშინ, როცა ნიადაგის ტემპერატურა +10 – 12 გრადუსია; დარგვის სიღრმე 10 – 12 სმ.

კარტოფილის დარგვა წარმოებს სპეციალური მანქანებით, გუთნით ან ხელით; კვების არე - 70X70 სმ ან 60X60 სმ ან 75-70X30-25 სმ.

კარგია ტუბერების წინასწარი გაღივება.

დარგული კარტოფილის ტუბერი გვიან ღივდება და აღმოცენებას იწყებს 22 – 25 დღის შემდეგ, ამიტომაც დიდი მნიშვნელობა აქვს სარეველებთან ბრძოლას. დარგვიდან რამოდენიმე დღეში ნიადაგს ამუშავებენ ჰერბიციდ ზემკორით,300 – 400 ლიტრ წყალში იხსნება 1 ჰა-ს ნორმა 1 – 1.2 კგ პრეპარატი და მოსხურდება ნიადაგის ზედაპირს. კარტოფილის აღმოცენების შემდეგ, როდესაც კულტურული მცენარე 10 – 15 სანტიმეტრს მიაღწევს, შეგვიძლია, გამოვიყენოთ იგივე პრეპარატი შემცირებული დოზით - 0.5 კგ 1 ჰა-ზე.

სოკოვანი დაავადებების (ფიტოფტოროზი, ალტერნარიოზი და ა.შ.) წინააღმდეგ ბრძოლას ვაწარმოებთ ფუნგიციდებით, მას შემდეგ რაც მცენარის სიმაღლე 10 – 15 სმ მიაღწევს; ნათესების დამუშავება წარმოებს შემდეგი პრეპარატებით: ანტრაკოლი 1.5-2.5 კგ/ჰა ან რაპიდგოლდი 1.5 კგ/ჰა ან მელოდი დუო 2 – 2.5 კგ/ჰა და ა.შ. წამლობები უნდა ჩავატაროთ პრეპარატების მონაცვლეობით 7 – 8 დღიანი შუალედით და შევწყვიტოთ მოსავლის აღებამდე 30 დღით ადრე.

კარტოფილის მავნებლების (კარტოფილის ჩრჩილი, ბაღლინჯოები, ბუგრი და ა.შ.) წინააღმდეგ ვეგეტაციის პერიოდში იყენებენ შემდეგ პესტიციდებს: დეცისი ბლუ ან კარატე ზეონი ან არივო- 0.2 ლ/ჰა-ზე,ბი-58 ახალი 1.4 – 1.9 ლ/ჰა-ზე და ა.შ.

კარგ შედეგს იძლევა ფოთლოვანი გამოკვების ჩატარება 2 - 3 ჯერ კომბინირებულად კრისტალონის (700 გრ 100 ლ წყალში), მარკომიქსის (800 გრ 100 ლ წყალში) გამოყენებით.

კარტოფილის ნარგაობის რწყვა ვეგეტაციის პერიოდში უნდა ჩატარდეს 4 – 5 ჯერ, თითო რწყვის ნორმა 500 – 600 კუბ. მეტრი; პირველი რწყვა ფოთლების მასობრივი განვითარების ფაზაში უნდა ჩავატაროთ, მეორე - ბუტონიზაციის პერიოდში, მესამე - ყვავილობისას, დანარჩენი - საჭიროების მიხედვით.

კარტოფილის მოსავალი უნდა ავიღოთ ფოთლების შეხმობიდან 3 – 5 დღის შემდეგ.

მოსავლის აღებას აწარმოებენ მანქანებით, კარტოფილის მთხრელებითა და სპეციალური კარტოფილის ასაღები კომბაინით.

ახლად აღებული კარტოფილი რამდენიმე საათით ნიავზე უნდა შეშრეს, გადაირჩეს და დახარისხდეს; ამის შემდეგ შეიძლება მოსავლის გამოყენება დანიშნულებისამებრ.

კარტოფილის ნორმალური შენახვისათვის კარგია 2 – 3 გრადუსი სითბო და 80 – 85% ჰაერის ტენიანობა; კარტოფილის შესანახი სათავსო უნდა იყოს მშრალი, ბნელი და ვენტილირებადი.

1 ჰა-ზე კარტოფილის მოყვანის დანახარჯები ათი ათას ლარამდე აღწევს, მაღალი მოსავლის მიღების შემთხვევაში მოგება 2 – 3 ჯერ მეტია.

ა. გოგალაძე,
სოფლის მეურნეობის სამინისტროს
ხაშურის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო- საკონსულტაციო
სამსახურის მთავარი სპეციალისტი



ხაშურის სამუზეუმო გაერთიანების გზამკვლევი, ხაშურის ისტორიის კვალდაკვალ

ერის ერთ-ერთისიამაყე, მისი ისტორიული ასაკია. ჩვენს პატარა ქვეყანას, ჩვენ მცირე ხალხს, ჯერ კიდევ ანტიკურ ეპოქაში შეუქმნია ის ღირებულებები, დღეს მსოფლიო აღიარება და ყურადღება რომ დაიმსახურა. ზესახელმწიფოები, პატარა ქვეყნების ისტორიებზე დგანან, რომლის ნანგრევებიც უამრავ დამარხულ ფასეულობებს ინახავს, რომელსაც ჯერ კიდევ ბევრი აქვს სათქმელი კაცობრიობის ევოლუციის შესახებ. ჩვენც ერთ-ერთი პატარა ქვეყანა ვართ, ჩვენი დიდი სათქმელით, დიდი ისტორიით. პირველ ევროპელობას, პირველ მედვინეობას და ბევრ პირველობას ჩვენი ეროვნული თუ მხარეთმცოდნეობის მუზეუმები სათუთად ინახავენ. ჩვენდა საამაყოდ, მათი რიცხვი არც ისე მცირეა-ექსპონანტები ისტორიული დირებულების და უნიკალური, ქართველურ პასუხისმგებლობას რომ გიათმაგებს ქართველს, ისეთი!

სამარცხვინოდ ჩემდა, და ბევრი ჩემნაირის (თუმცა ქართველობას ვერ დავუწუნებ ჩემ თავს), სხვაგან რომ ვეძებთ სანახაობას, ისტორიულ სიძველეებს თუ მისთანას, ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს მრავალჯერ გვერდავლილს (თუმცა სურვილს ვერ დავმალავ), მრავალი ანტიკური ნივთის, ხელოვნების ნიმუშების, არქეოლოგიური კოლექციის და ბევრი სიძველის ნახვის ბედნიერება მომიკლია საკუთარი თავისთვის. თავი ისევ ისტორიამ შემახსენა. ხელში ახლა ხაშურის სამუზეუმო გაერთიანების გზამკვლევი მიჭირავს, სპეციალურად მისამართდაკარგული ჩემნაირებისათვის. გზამკვლევი გამოცემიდან სულ რამდენიმეთვიან არსებობას ითვლის და მასში გაერთიანებულია ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის, ქვიშხეთის დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმის და სურამის ლესია უკრაინკას მუზეუმის შესახებ მასალები და იქ დაცული ექსპონატები. გზამკვლევის გამოცემა დაფინანსდა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ. რედაქტორები თამაზ ლაცაბიძე და მზია ლობჟანიძე არიან. წიგნზე მუშაობა რთულ და ხანგრძლივ პროცესს მოიცავდა, ტექსტის ავტორებთან, ტექსტის მთარგმნელთან და კომპიუტერულ დიზაინერთან ერთად. მგზამკვლევი ქართულ-ინგლისურენოვანია, რაც შესაძლებელს ხდის მის ხელმისაწვდომობას სხვა ქვეყნების მოქალაქეთათვისაც. მაღალი დონის პოლიგრაფია, ილუსტრაცია, დიზაინი, აორმაგებს წიგნის მიმართ ინტერესს. გზამკვლევის დასაწყისი, ხაშურის გეოგრაფიული მდებარეობის, სტრატეგიული მნიშვნელობის და დაარსების ისტორიული პირველწყაროების მოკლე ექსკურსით იწყება. მკითხველისათვის საინტერესოა მუზეუმის დაარსების ისტორია, გამდიდრებული ფოტო მასალებით, რაც ზოგად წარმოდგენას ქმნის, იქ დაცული ექსპონატების მიმართ. შემდეგ ქრონოლოგიურად მიმდინარეობს არქეოლოგიური კოლექციის, ნუმიზმატიკის, ხატების, საეკლესიო ნივთების კოლექციის, ეთნოგრაფიის, ჭედური ხელოვნების ნიმუშების, საბრძოლო ხელოვნების კოლექციის ჩვენება, თანდართული მისი აღმოჩენის ადგილ-მდებარეობით და ექსპონატის ასაკით. აქ ნახავთ ანტიკურ და ქვის ხანის შრომის იარაღებს, სამკაულებს, საყოფაცხოვრებო, საბრძოლო თუ სხვა დანიშნულების ნივთებს, რომელთა ასაკი ძვ.წ III ათასწლეულსაც კი ითვლის. გზამკვლევი მუზეუმში დაცული ისტორიული საბუთების კოლექციის და ბიბლიოთეკის, ფოტოგრაფის ფონდის, სახვითი ხელოვნების კოლექციის გაცნობასაც სთავაზობს მკითხველს.-იურიდიული და სოციალური ხასიათის საბუთები, ხაშურის მატერიალური კულტურის ძეგლები, რევოლუციური წარსულის, განათლების, რკინიგზის ისტორიის შესახებ მასალები, წარმოდგენილი წერილებით და ფოტომასალით. აქვე ნახავთ დოკუმენტურ კოლექციებს შინმო-უსვლელთა მასალებს სახალხო თეატრის დაარსების შესახებ, პერიოდული პრესის მიხედვით მომზადებულ ბიბლიოგრაფიულ კრებულებს. ფოტოგრაფიის ფონდი უამრავი ცნობილი ფოტოხელოვანის ცნობილი და უცნობი ფოტოსურათებითაა წარმოდგენილი. გზამკვლევში ასევე ნახავთ სახვითი ხელოვნების ნიმუშებს, რელიგიური შინაარსის ტილოებს, ხატების ასლებს, ავტოპორტრეტებს, ცნობილი მხატვრების ნამუშევრებს.

როგორც უკვე აღვნიშნე, გზამკვლევი ქვიშხეთის დიმიტრი ყიფიანის სახლუზეუმსაც აერთიანებს. თხრობა დიმიტრი ყიფიანის ცხოვრების, მისი მოღვაწეობის, ღვაწლის შესახებ მიმდინარეობს, წარმოდგენილია ფოტო მასალები, სახლმუზეუმში არსებული საყოფაცხოვრებო ნივთების, რომელსაც დღეს კულტურულ-ისტორიული დანიშნულება აქვს.

ბოლო ნაწილი, უკრაინელი პოეტი ქალის, ლესია უკრაინკას მუზეუმს ეთმობა, აქ დაცული მისი ლიტერატურული თუ ცხოვრების ამსახველი ფოტომასალით.

გზამკვლევი მიმართულებას აძლევს ხაშურზე დაინტერესებულ ადამიანებს, ხაშურის კულტურული ფასეულობების და ძეგლების შესახებ, თუ რისი ნახვა შეუძლიათ, ახსენებს და აცნობს ისტორიას მათი მშობლიური რაიონის მნიშვნელობის შესახებ და ექსპონატები, რომელიც მრავალი საერთაშორისო გამოფენის მონაწილეა, ელის ქართველ, ხაშურელ დამთვალიერებელს.

თ. ჯავახიშვილი

<u>როგორ ვხვდებით ახალ საკურორტო სეზონს?</u>

წელიწადის ოთხი დრო ხაშურში

გადმოგიხედავთ ხაშურისთვის კოდისწყაროს ტბიდან ან ღორინამკლიდან, ანდა სულაც ზემო სერიდან/ თუ გადმოგიხედავთ, აუცილებლად გულს გაგიხარებდათ სიმწვანეში ჩაფლული ხაშური, მშობლიური ქალაქის მხარგაშლილობა, მისი წითელი აგურით ნაშენი კოხტა სახლების გრძელი მწკრივები, ვერცხლისფერი სახურავებით ცას რომ აქათქათებს.

ქალაქი წელიწადის ოთხივე დროს სულ სხვადასხვანაირი ხიბლისაა. თუმცა, ბოლო წლებში, მდგომარეობა საგრძნობლად შეიცვალა. უფრო თბილი და უთოვლოა ზამთარი, გაზაფხული და ზაფხული ლამის ერთნაირია, შემოდგომამაც ნირი იცვალა, მაგრამ, ძირითადად, ოთხივე დრო, ჩვენს ზონაში მაინც მკვეთრად გამოკვეთილია და თავისი ხიბლი აქვს. ხაშური **გაზაფხულზე** მწვანე ზღვაში მოდრეიფე გემს ჰგავს. **ზაფხულში** სიცხის ალმური ასდის, სიცხისგან შეჭირვებული ნარგაობა საცოდავად შრიალებენ და შველას, წყალს ითხოვს. ამ დროს ქალაქი თითქმის დაცლილია, მოსახლეობა გარიდებულია ქალაქს, მასზე ზრუნვა და ზედამხედველობა მთლიანად ქალაქის შესაბამისი სამსახურის ხელშია. ამ დროს ქალაქს მხსნელად ევლინება „თერხვი“ და ღორინამკლიდან გადმოვარდნილი ნიავქარი, რომლებიც ქალაქში დანთებულ სიცხეს, ჰაერის მხურვალე ნაკადებს სულ ზევით-ზევით უღრუბლო ცისკენ მიაქანებენ. მზის გადახრისთანავე ქალაქის სიგრილე აფხიზლებს, თავისუფლად სუნთქავენ მწვანე ხეივნები, ფანჩატურები, ვენახის ტალავრები. **შემოდგომა** კი ოქროსფერში ახვევს მის შემოგარენს.. შეყვითლებული ფოთოლთა ქარავანი შემოდგომის მობრძანებაზე მიგვანიშნებს. ხაშურის შემოდგომის აურა საოცრად სასიამოვნოა. **ზამთარში** ქალაქი თოვლის გედივით ზის თოვლის ოკეანეში. საკვამურებიდან ამონაბოლქვი ცისფერი კვამლის მაღალი სვეტები ბოძებად შედგომიან ქალაქის ზეცას. შემოდგომაზე გაძარცული მწვანე ნარგაობა ყინულის ლოლოებით არის დახუნძლული და მზის მიმქრალი სხივებით გაცისკროვნებული ათასფრად ბრდღვიალებს. ამ დროს ქალაქი საპატარძლოდ მორთულ ქალბატონს ჰგავს.



სინამდვილეში, როგორია ჩვენი ქალაქის მწვანე ფილტვები, ჟანგბადის აუზები, ე.წ. „მწვანე გვირაბები“ (ძირითადი მაგისტრალების გასვწრივ). ვფიქრობთ, არც თუ ურიგო, მაგრამ იგი ძირითადად კერძო სექტორში გაშენებული ხეხილის ბაღების, ხეივნების, ვენახის ტალავრების, ფანჩატურების შედეგია. ასე, რომ ჩვენი ქალაქის ქუჩების ნაწილი გაუმწვანებელია, ხოლო ბორდიურების უმრავლესობა ცარიელი, რაც ქალაქს სილამაზესა და შნოს არ მატებს. თუმცა ქალაქში ყველა ბუნებრივი პირობაა გვქონდეს საუკეთესო გამწვანება. ერთი სიტყვით, ქალაქის გამწვანების საკითხი ბუნებრივად დადგა დღის წესრიგში და ამას რაიონის ხელმძღვანელობის მყისიერი რეაგირება მოჰყვა. შეიქმნა ააიპი „სავანე“. „სავანეს“ სათავეში ჩაუყენეს უნარიანი და პატრიოტი ახალგაზრდა კაცი შოთა კოპაძე, მან კი უახლოეს თანამებრძოლებთან, ემზარ ბუაძესთან, ვაჟა ძანაშვილთან და სწავლულ აგრონომ ვასილ ხაჩიძესთან ერთად ჩამოაყალიბა პატარა, მაგრამ შრომისუნარიანი მუშათა ჯგუფი, რომლებიც თავდაუზოგავად საქმიანობენ შრომის ყველა უბანზე. ესენი არიან: ომარ ლაცაბიძე, ზურა ლომიძე, გიორგი სუდაძე, გელა ჯახველაძე, ზვიად ტაბატაძე, დედა-შვილი მარინა და თეონა ბარბაქაძეები, მამა-შვილი მძღოლები ნოდარ და კობა იმერლიშვილები. ამ პატარა კოლექტივს დიდი და საპატიო მისია აკისრია. მათ შორის უპირველესია ზრუნვა ქალაქის მწვანე ნარგაობაზე, ქალაქის მწვანე სამოსელის განვითარებაზე; მათვე ევალებათ ქალაქის და სურამის სასაფლაოების მოვლა-პატრონობა; ხაშურში და სურამში განთავსებულ კულტურულ-სპორტულ და საბავშვო ნაგებობათა მეთვალყურეობა-დაცვა; ქალაქის და მისი შემოგარენიდან მაწანწალა ძაღლებისაგან გაწმენდა. „სავანემ“ ამ მიმართებით წელს ხელშესახები ღონისძიებები განახორციელა. შემოტანილი იქნა და დაირგო გარკვეული რაოდენობის ხე-მცენარეები. კერძოდ, ხაშურის კულტურისა და დასვენების პარკში 40 ძირი სოჭი, 7 ძირი არყის ხე და ა.შ. პროგრამის „დანერგე შენი მომავალი“ ფარგლებში შემოტანილი იქნა 500 ძირი სხვადასხვა ჯიშის ნერგი, რომელთა ნაწილი გადაეცა სასოფლო თემებს, ნაწილი განთავსდა „სავანეს“ სანერგეში, როგორც რეზერვი მომავალი წლებისათვის. ეს ნერგები აქ დაიზრდებიან, შეეგუებიან

(გაგრძელება IV გვერდზე)

„სალხინოს“ ვარსკვლავი სურამში

ცხოვრება მართლაც რომ საინტერესო მოვლენებითაა სავსე. თაობები იცვლებიან, იცვლება ეპოქა, ვიცვლებით ჩვენც... ოღონდ ეგაა, ერთ დროს მიღებული, ძალიან დიდი სიყვარულით მიღებული შთაბეჭდილებები არ იცვლება.

ემოცია, რომელიც არის შენი, ემოცია რომელიც არის პირველი, ემოცია რაშიც შენი სულის გამოძახილია, განუმეორებელია.

ყველაფერი კი ასე დაიწყო: „ტკბილმშობლიურ სიმღერებად დავდნები“... მღეროდა ორი განუყრელი მეგობარი, ცხოვრობდნენ ამ წესით და ამ

ჰანგებთან ერთად შეიყვარა ისინი ჩვენმა პატარა კუთხემ: მორის ჩარექოვი და რობერტ აკოფოვი... შემდეგ მათ რიგებს შეუერთდა სიმღერაზე უსაზღვროდ შეყვარებული ახალგაზრდები: კოტე გოგოლაძე, სოსო ბასილაშვილი, ანზორ გრიგალაშვილი, სოსო მადალაშვილი, გურამ მახარაშვილი, დოდო ბასილიძე, გივი ჯანაშვილი,ზურაბ ლაცაბიძე... შეიკრიბა ახალგაზრდობა და ანსამბლს „სალხინო“ დაარქვეს.

ამ ანსამბლში თითქოს ერთად განთავსდა იმ ეპოქის სუნთქვა, მაშინდელი რეჟიმიდან ერთგვარად გამოქცეული თავისებური რომანტიკა, ქვეტექსტებში ჩადებული თავისუფლების ფარული ლტოლვა თუ სიმღერად თქმული სიყვარულ(ებ)ის საგა. და ეს ყველაფერი ერთად ისე სწრაფად შემოვარდა სურამის ცხოვრებაში, რომ ანსამბლი პირველივე დღიდან იქცა სურამის ერთიანი სხეულის ნაწილად, ხოლო სურამი ერთგვარად თვითონ გახდა „სალხინო“.

პირველივე კონცერტი და საოცარი წარმატება, რომელიც სადღაც ზესიჩქარით გასცდა სურამის, რაიონის ფარგლებს, გასცდა იმ დონეზე, რომ მაშინდელ საქართველოში ოფიციალურად აღიარებული, კარგად დაფინანსებული სახელმწიფო ანსამბლების ტრიო უცებ იქცა კვარტეტად. თვითონ განსაჯეთ... იმ წლებში იყო ბევრი პატარა და უსახელო ანსამბლი, მაგრამ ისეთი, რომელსაც იცნობდა მთელი საქართველო გახლდათ ოთხი: „ორერა“, „რერო“, „დიელო“ და „სალხინო“. 50 წელი გავიდა მას შემდეგ... როგორ უცებ გაფრინდნენ წლები, ქვეყანა აბსოლუტურად განსხვავებულ

პოლიტიკურ სიტუაციაში აღმოჩნდა. საქართველომ, იმ წლებისგან განსხვავებით, დამოუკიდებელი არსებობა დაიწყო ყოველგვარი „უფროსი ძმის“ გარეშე. თაობები შეიცვალა და მაინც არ შეცვლილა ის სიყვარული, რაც სურამს „სალხინოსთან“ აკავშირებდა. ამის მაგალითი იყო ის ვარსკვლავი, რომელიც ერთგვარად სულ ენთო სურამში, რომელიც სულ ბრწყინავდა და რომელიც 14 ივნისს მხოლოდ „ფიზიკურად“ დადასტურდა. მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელები, რაიონის ინტელიგენცია, სურამის

საზოგადოება, მელომანები – მრავალრიცხოვანი აუდიტორია სიყვარულით შეეგება სურამის კულტურის ცენტრში „სალხინოს“. იყო მილოცვები, მოგონებები, იყო ის სიმღერები, რომლებიც დღესაც რჩება „სალხინოს“ სიმღერებად.

მუნიციპალიტეტის გამგეობამ, კულტურის სამსახურმა, სურამის საზოგადოებამ, ყველაფერი გააკეთეს, რომ ერთი ლამაზი დღე ეჩუქებინათ „სალხინოსათვის“, ეთქვათ მადლობა მათი ნაღვაწისთვის.

ვარსკვლავი კი, რომელის სურამის კულტურის ცენტრში აინთო, მუდამ იკიაფებს, როგორც სიმღერით ნათქვამი სიყვარულის სიმბოლო.

<u>როგორ ვხვდებით ახალ საკურორტო სეზონს?</u>

რასაც გავაკეთებთ, მოვუაროთ, დავიცვათ!

(დასასრული)

ჩვენს პირობებს და შემდგომ მოხდება მათი გადანაწილება. ააიპ „სავანეს“ კოლექტივის ძალისხმევით ამუშავდა ცენტრალური შადრევანი, მისი ხელი დაეტყო სხვა მსგავს ნაგებობებსაც, უყურეადღებოდ აღარ არის მიტოვებული ის სპორტული, კულტურული და საბავშვო მოედნები, რომლებიც უკლანასკნელ წლებში აიგო ქალაქში, დაბაში და რომლებზეც ათასობით ლარი საბიუჯეტო თანხაა დახარჯული. ამდენად ამ ობიექტების დაცვა-შენახვა დიდად საჭირო და მნიშვნელოვანი საქმეა. „სავანეს“ თანამშრომელთა ხელი ნამდვილად დაეტყო ამ ობიექტებს. ქალაქის ქუჩებს მოშორდა ასზე მეტი მაწანწალა ძაღლი, შემოიღობა და კეთილმოეწყო სასაფლაოები და მათი შემოგარენი, რაც მოსახლეობის სამართლიან კმაყოფილებას იწვევს. აქვე უნდა დავასახელოთ ის ოთხი დიასახლისი-დამლაგებელი, რომლებიც ყოველდღიურად უვლიან და ასუფთავებენ ქალაქის სკვერებს: ლია შამათავა,ნანი კუბლაშვილი,თამარ ულუმბელაშვილი,მარინა ტაბატაძე.

ამ დღეებში „სავანემ“ მხარეთმცოდნეობის მუზეუმის წინ მდებარე სკვერის კეთილმოწყობა დაიწყო. შეიცვალა რკინის მოაჯირი. ბორდიურებში დაიგება მწვანე ბელტის საფარი, რაც კიდევ უფრო გაალამაზებს და მიმზიდველს გახდის მუზეუმის მისასვლელს.

ცალკე საკითხია სურამში არსებული მდგომარეობა. საკურორტო სეზონი უკვე დაიწყო. ამ მიმართებით გარკვეული ღონისძიება განხორციელდა სურამში. ახალი საკურორტო და ტურისტული სეზონი ახლოვდება, რომელსაც ღირსეულად და ყოველმხრივ მომზადებული უნდა შეეხვდეთ. ამ საქმეში თავიანთი სიტყვა უნდა თქვან „ხაშურსერვისმა“ და „სავანემ“. გვჯერა, ეს ასეც იქნება. ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია, ამ კოლექტივებს, მათ ხელმძღვანელებს წარმატებები ვუსურვოთ იმ ამოცანების წარმატებით გადაწყვეტის საქმეში, რომელიც მათ წინაშეა დასახული.

ამასთან, უნდა აღინიშნოს ის მდგომარეობა, რაც დღესდღეობით შექმნილია სურამის რკინიგზის სადგურის ყოფილი შენობის ირგვლივ და ტრავმატოლოგიური საავადმყოფოს შენობაში. ორივე შენობა დარბეულია, გაძარცულია და გადაქცეულია ანტისანიტარიის კერად. ერთი სიტყვით, იქაურობას მეპატრონის ხელი (თუ პატრონი ჰყავს) არ ეტყობა. უფრო მეტიც, დაუნდობელი და გაბოროტებული მტრის ნამოქმედარს ჰგავს. შედარებით უკეთესი მდგომარეობაა იქვე განთავსებულ კულტურულ-სპორტულ და საბავშვო მოედნებზე. მათ მზრუნველი ხელი ეტყობა. ამ საქმეს უძღვება და აკონტროლებს ააიპ „სავანეს“ ხელმძღვანელი ვასილ ღამბაშიძე. ისინი მოვლილია და დაცულია. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ადგილობრივი მოსახლეობა პირუტყვს უმეთვალყურეოდ უშვებს, რის შედეგადაც ნადგურდება ძვირადღირებული სპორტულ ნაგებობათა ხელოვნური საფარი, ინფრასტრუქტურა.

რ. სავანელი

პროექტი „კინო სკოლაში", ქართული კინოს გადასარჩენად!

ჩემი მშობლების თაობის მიტირებებს ძველ, კარგ, ბედნიერ დროზე, როცა "კაპიკები" ღირდა სულიერიც და ფიზიკური სიამოვნებაც, როცა მოსკოვიც, თვითმფრინავის ერთი ფრთის გაწვდენაზე იყო და ქალაქსაც "კრასნაია მასკვა"-ს სუნი ასდიოდა, როცა კინოში "1 მანეთად" რამოდენიმე გოგოს, ქართულად, ვაჟკაცურად პატიჟებდნენ, დღესაც არ დაუკარგავს გრძნობათა "სიწრფელე". ჩემი მშობლების რა, ჩემს თაობასაც კარგად გვახსოვს, ქადალდის კოლოფებში გახვეული ტკბილეულობა და სოფლის კლუბებში, მაგდანასა და მისი ოჯახის ტკივილის ყურებისას, ბავშვური შურისძიებით ავსებული პატარა გულები, მსახიობებზე შეყვარებული გოგონებით გადავსებული კლუბები, აქვე დაწყებული და ოჯახებით დამთავრებული სასიყვარულო ურთიერთობები. სამსახურიდან დაბრუნებული მოსახლეობა, ოჯახებიანად მიდიოდა კინოთეატრებშიეს იყო ერთგვარი კულტურა, განსაკუთრებული დამოკიდებულება კინოსადმი. ცენზურის მიუხედავად, იქმნებოდა კინოშედევრები, "იქმნებოდნენ" დიდი მსახიობები. მერე სოციალურ-პოლიტიკურ-ეკონომიკური ძვრები მოხდა, მერე კინომ აუდიო კასეტებზე გადაინაცვლა და მერე ადამიანები დაშორდნენ კინოს-დაიკარგა კულტურაც. როცა არჩევანი სულიერ სიამოვნებასა და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანს შორის დადგა, ჩვენ ეს უკანასკნელი ავირჩიეთ-წმინდა ფიზიოლოგიაა ადამიანის! მას შემდეგ უმოქმედობის ორი ათეული წელი გავიდა, ეს დიდი დროა ისეთი პატარა და ამავე დროს ისეთი დიდი კინოისტორიის ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა. ჩვენ ჩვენი ისტორია შევქმენით კინოში. მაგრამ გაგრძელებაა საჭირო, მომავალზე გათვლაა საჭირო...!

ქართული კინოს დღევანდელ ანგარიშზე, რამდენიმე მაღალი დონის ნამუშევარია, რომელთა აღიარება გასცდა ქვეყნის საზღვრებს, თუმცა, ორათეულწლიანმა სოციალურმა ფონმა თავისებურად იმუშავა, კინოს დააკარგვინა მაყურებელი. მთავარ პრობლემად, სახელმწიფოს მხრიდან საკმარისი ფინანსური რესურსების მოუძიებლობა და კინოს კულტურის გაქრობა იქცა. პრობლემის არსებობა არ ნიშნავს შეგუებას და მასთან ერთად თანაცხოვრებას. სწორედ ამ მიზანს ემსახურება ეროვნული კინოცენტრის პროექტი "კინო სკოლაში". რომელიც შერჩეულ ასაკობრივ ჯგუფებზეა გათვლილი და მისი მიზანი მოზარდ თაობაში კინოხელოვნების პოპულარიზაცია, ესთეტიკური უნარების განვითარება და კინოს სფეროში ცნობიერების ამაღლებაა. პროექტი განათლების სამინისტროს ხელშეწყობით ხორციელდება, რომელიც უზრუნველყოფს სკოლებთან კომუნიკაციას. პროექტი 17 მარტიდან მიმდინარეობს 3 თვის მანძილზე, მასში საქართველოს ხუთი რეგიონის 40 სკოლა იღებს მონაწილეობას. ახალგაზრდა რეჟისორები, ე.წ. მისიონერები (ავტ. ნანა ჯანელიძე), კვირაში ერთი დღე მოსწავლეებს აჩვენებდნენ ქართული და მსოფლიო კინემატოგრაფიის კლასიკურ ნიმუშებს, რომლის შერჩევაშიც ჩართულნი იყვნენ ფსიქოლოგები, კინომცოდნეები, განათლების ექსპერტები. კინოჩვენების შემდეგ, კლასებში იმართებოდა დისკუსია ფილმის გარშემო. სამომავლოდ კი პროექტის ფარგლებში მოსწავლეთათვის დაგეგმილია ცოცხალ კინოპროექტში ჩართვა-კინოსცენარებზე მუშაობა და მოკლემეტრაჟიანი ფილმების გადაღება.

პროექტში მონაწილეობის შესაძლებლობა წელს ხაშურის რამდენიმე სკოლასაც ჰქონდა: ქინძათის, ნაბახტევის, გომის, ცხრამუხის და

ხაშურის №7 საჯარო სკოლების მოსწავლეებმა 13 ივნისს, ხაშურის კულტურის სახლის მცირე დარბაზში, ეროვნული კინოცენტრის დირექტორს, რეჟისორს, პროექტის იდეის ავტორსა და ორგანიზატორს, ქალბატონ ნანა ჯანელიძეს უმასპინძლეს, ავტობიოგრაფიული ფილმით, "ნეტავ აქ თეატრი არის?" გენიალური მსახიობის, კახი კავსაძისა და ბრწყინვალე რეჟისორის ასევე ბრწყინვალე ტანდემმა და წარმატებულმა "შეხვედრამ" კინოში, მოსწავლეების აღფრთოვანება გამოიწვია. ფილმის დასრულების შემდეგ, რეჟისორმა აღნიშნა, რომ თავს მშობლიურ გარემოში გრძნობდა (ქვიშხეთში გატარებული საბავშვო არდადეგების გამო) და ბავშვებთან კითხვა-პასუხის რეჟიმში, ისაუბრა გადაღების პროცესზე, მსახიობებზე, რეჟისურაზე, პროექტის მნიშვნელობაზე, კინემატოგრაფიაში არსებულ პრობლემებზე, მათი მოგვარების გზებზე, რეგიონული კინოთეატრების არარსებობაზე და სამომავლოდ დიდი სურვილი გამოთქვა, ხაშურში გაიმართოს კინოჩვენებები, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება ნებისმიერი სოციალური ფენისთვის.

მოსწავლეებმა მადლობა გადაუხადეს ქალბატონ ნანას სტუმრობისათვის და იმ, შესაძლებლობისთვის, რომელიც მათ მიეცათ, ორი თვის განმავლობაში გაცნობოდნენ კინოს ხელოვნებას, მსოფლიო კინო შედევრებს და თბილი ფოტოებისთვის, რომელიც მათ ფოტოალბომში ერთი ლამაზი დღის ისტორიას შექმნის.

თამარ ჯაგანიშვილი

ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადთან დაკავშირებული საკითხები სერიოზულ გადახედვას მოითხოვს

ახალს არაფერს ვიტყვით, თუ აღვნიშნავთ, რომ გადასახადები სახელმწიფოს არსებობის, სახელმწიფო კი - ნებისმიერი ჩვენგანის ნორმალური ცხოვრების საფუძველია. ამდენად, გადასახადების გადახდა ერთ-ერთი უპირველესი მოქალაქეობრივი მოვალეობაა. ასევე ცნობილი ფაქტია, რომ საგადასახადო სისტემა სხვადასხვა სოციალურ ჯგუფზე არაერთგვაროვან გავლენას ახდენს, რის გამოც მეტად საინტერესოა იმის გარკვევა, თუ რომელ გადასახადს რა წილი უნდა ეკავოს სახელმწიფო ბიუჯეტში. საგადასახადო სისტემის მოწყობის და მართვის პოლიტიკის უკიდურესი სირთულის გამო, ჩვენ არ გვაქვს პრეტენზია ამ საკითხზე ერთმნიშვნელოვანი დასკვნის გაკეთების შესახებ, მაგრამ გაგვაჩნია ერთი საინტერესო მოსაზრება.

საქართველოს ბიუჯეტში ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადისგან შემოსავლები (იგულისხმება არაეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებული ქონება) არ ფიქსირდება, როდესაც იგი ბიუჯეტის შევსების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო უნდა იყოს. ამის მიზეზად შეიძლება რამდენიმე ფაქტორის დასახელება:

1) ქონების გადასახადის განაკვეთის განსაზღვრისას სახელმწიფოები ითვალისწინებენ სოციალურ ფაქტორს, რის გამოც დაბალი განაკვეთებია დაწესებული;

2) ქონების გადასახადის ადმინისტრირების დიდი დანახარჯების გამო, სახელმწიფოები, არსებული განაკვეთების პირობებშიც კი, ამ გადასახადის ამოსაღებად განსაკუთრებულ ძალისხმევას არ იჩენენ;

არსებული მდგომარეობა მაგალითად საშემოსავლო გადასახადის გადასახდელებში (თუნდაც ჩემშიც) პროტესტის გრძნობას იწვევს, რასაც ობიექტური საფუძველიც აქვს შემდეგი ფაქტორის გამო:

საშემოსავლო გადასახადის დაწესება, უპირველეს ყოვლისა, იმითაა გამართლებული, რომ გადასახადის გადამხდელის მიერ შემოსავლის მისაღებად სახელმწიფოს დახმარებაა აუცილებელი, რაც ქვეყნის უსაფრთხოების დაცვაში, კრიმინალების ალაგმვაში, კანონმდებლობის შექმნასა და რიგ საკითხებში გამოიხატება, რისთვისაც შესაბამისი ფინანსური უზრუნველყოფაა საჭირო და ამ გადასახადის გადახდა უნდა განვიხილოთ როგორც სახელმწიფოს „მომსახურების" ანაზღაურება. ცნობილია, რომ სახელმწიფო თავისი ფუნქციების განხორციელებისას, უმთავრესად, საკუთრების დაცვას და სათანადო კანონმდებლობის მიღებას მიიჩნევს, რითაც დაცული იქნება მესაკუთრეთა ინტერესები. ამდენად, ქონების გადასახადის დაწესების აუცილებლობის მტკიცება, სახელმწიფოს მიერ ქონების საკუთრების დაცვის ფუნქციის ფინანსური უზრუნველყოფისათვის ისევე წარმატებით შეგვიძლია, როგორც საშემოსავლო გადასახადის შემთხვევაში.

მსჯელობის სიმარტივისთვის მოვიტანთ მაგალითს, რომელშიც მოცემულია 2 პიროვნება. პირველი, თავისი უნარის წყალობით, დიდ შემოსავალს იღებს და განხილული დროის მონაკვეთში მისი ქონება მცირეა, ხოლო მეორე ფლობს სოლიდურ პირად ქონებას (რომელიც მემკვიდრეობით ან სულაც საეჭვო გზებით მიიღო) და განხილული დროისათვის მინიმალურ შემოსავალს იღებს (ან ახერხებს შემოსავლის დამალვას).

საქართველოში დღეისათვის მოქმედი დაბეგვრის მექანიზმით უზრუნველყოფილია მეორე პიროვნების ქონებრივი უპირატესობის შენარჩუნება პირველის ხარჯზე, რადგან სახელმწიფო ქონების საკუთრების უფლების დაცვისათვის რესურსებს უმეტესად პირველი პიროვნების ხარჯზე ქმნის, რითაც იზღუდება მისი შესაძლებლობა მიღებული შემოსავლებით გაიუმჯობესოს ქონებრივი მდგომარეობა.

აღსანიშნავია, რომ მეტად პრობლემურია ამ სარგებლის მიახლოებითი განსაზღვრაც კი, რასაც ქონების მფლობელი სახელმწიფოსგან იღებს და ქონების გადასახადის განაკვეთის დაწესების დროს სუბიექტურ მიდგომებს ვერ ავცდებით, თუმცა ეს არ არის მიზეზი, რომლის გამოც უარი უნდა ვთქვათ ქონების გადასახადის არსებობაზე, რამეთუ ანალოგიური პრობლემა საშემოსავლო გადასახადის განაკვეთის დაწესების დროსაც იქმნება.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ის, რომ ქონების გადასახადის ამოღება სახელმწიფოსაგან მეტად ფრთხილ მოქმედებას მოითხოვს, რათა დიდი განაკვეთების დაწესებით გადასახადის გადამხდელს, მოცემულ ქვეყანაში, ქონების ფლობისადმი ინტერესი არ დაეკარგოს და იგი სხვა ქვეყანაში არ შეიძინოს, სადაც, იმავე პერიოდში, შედარებით ნაკლები გადასახადი იქნება.

დასკვნის სახით აღსანიშნავია, რომ აუცილებელია ზემოთ აღნიშნული საკითხების გათვალისწინება და ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადის ამოსაღებად ძალისხმევის გააქტიურება და თანაც:

1. სოციალური საკითხის უკეთ წარმოჩენისათვის ქონების გადასახადის დაბალი განაკვეთების დაწესების ნაცვლად უნდა მოხდეს ქონების დაბეგვრის დიფერენცირებული მექანიზმის ჩამოყალიბება;

2. აღნიშნული გადასახადის გაანგარიშების დროს მხედველობაში უნდა მივიღოთ ქონების საბაზრო ღირებულება.

ლევან პეტრიაშვილი,
ეკონომისტი

მ ე გ ო ბ რ ე ბ ი

თითქოს გაიხსნა გზა უფლისაკენ,
მადლით მოსილა ირგვლივ ყოველი,
და გაფრენილი გედის ფრთასავით
სივრცეში მოჩანს კვირაცხოველი.

საინტერესო საღამო სკოლაში

წრომის საჯარო სკოლას არაერთი წარჩინებული მოსწავლე აღუზრდია. ერთ-ერთი მათგანია გულიკო მიქელაშვილი, ჩვენი სკოლის არც თუ ისე დიდი ხნის კურსდამთავრებული, სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტი, რომელმაც ძალიან დიდი შრომისა და მონდომების ფასად მოიპოვა პრეზიდენტის სტიპენდია. ჩვენმა სკოლამ კი გადაწყვიტა გულიკოსთან შეხვედრა და ამ დღეებში კვლავ შევიკრიბეთ ერთად.



მისი სტუმრობა დაემთხვა ბილოგიის კონფერენციას. ჩვენი სკოლის VII-VIII კლასელებმა მოამზადეს ინსცენირება „ორგანიზმი მთლიანობაა“. ინსცენირების შემდეგ XI კლასის მოსწავლემ სალომე სარალიძემ წარადგინა მოხსენება შიდსის შესახებ. მან, მეტი თვალსაჩინოების მიზნით, დამსწრე საზოგადოებას შესთავაზა ვიდეო ფილმი შიდსის ვირუსზე. მოწვეულმა სტუმარმა კიდევ უფრო განავრცო და განმარტა ამ დაავადების არსი და სრულყოფილად მიიტანა მსმენელამდე. გაიმართა კითხვა-პასუხი გულიკოსა და მსმენელს შორის. სტუმარმა ამომწურავად უპასუხა ყველა შეკითხვას. ამის შემდეგ მასწავლებლებმა გაიხსენეს ხალისიანი შემთხვევები გულიკოს მოსწავლეობიდან.

რა თქმა უნდა, გადავიღეთ მრავალი სამახსოვრო ფოტო, ეს შეხვედრა იყო წრომის საჯარო სკოლის კიდევ ერთი საინტერესო, სასიამოვნო და დაუვიწყარი დღე.

სალომე სარალიძე,
წრომის საჯარო სკოლის XI კლასის მოსწავლე

რეზო ჯობაძის ხსოვნას

საძმო-სამეგობროს, რაიონის ინტელიგენციას, სრულიად საქართველოს კიდევ ერთი ღირსეული პიროვნება დააკლდა – გარდაიცვალა კაცი, რომელიც აღსავსე იყო სიკეთით, ადამიანობით, კაცი, რომელსაც უსაზღვროდ უყვარდა ყოველივე ქართული, მშობელი ხალხი. ჩვენს შორის აღარ არის გულანთებული ქართველი ვაჟკაცი **რეზო (რევაზ) ჯობაძე,** რომელმაც რაიონის საზოგადოებრივ ცხოვრებაში დიდი ღირებულებებით გაიელვა და საკუთრი სახელი დატოვა.

რეზო იყო საოცრად გულისხმიერი, კეთილი, თბილი და ვაჟკაცური სულის პატრონი. სულიერად და ფიზიკურად გამორჩეული პიროვნება, რომლისთვისაც სურამი სალოცავი იყო, ხაშური კი –საფიცარი.

წავიდა და დაგვიტოვა უსაზღვრო, აუწონელი სევდა-ნაღველი, შესანიშნავი ოჯახი. იგი ის კაცი იყო, რომელსაც ადამიანური და პიროვნული ღირებულება არასდროს დაუკარგავს, უაღრესად ურთულეს სიტუაციებშიც კი.

ნათელი და სანთელი მის ხსოვნას, დრო შეუბრალებლად კაფავს საძმო-სამეგობროს ისედაც გამეჩხერებულ ტყეს. ამჯერად იმ ტყეში რეზო ჯობაძე წაიქცა, წაიქცა როგორც ბერ-მუხა დაეცემა ხოლმე დიდი ქარტეხილების დროს. ამიტომ მისი წაქცევის ექომ ელვისსისწრაფით გადაუარა რაიონს, სრულიად საქართველოს. და ყველგან ცრემლი და ტკივილი მიიტანა, ალალი იყოს შენი წასვლის გამო დაღვრილი ყოველი ცრემლი, ღვთისნიერო ადამიანო!

მეგობრები

რეზო ჯობაძის ხსოვნას

ძვირფასო **რეზო!** თავზარდამცემი იყო ჩვენი კოლექტივისათვის სამშაბათი დღე, როდესაც თქვენი ტრაგედია შევიტყეთ, ვერ ვიჯერებთ, რომ ახალგაზრდა კაცს სიკვდილი უდროოდ მოგერეოდა.

ახალგაზრდა ბიჭი მოხვედი ჩვენს კოლექტივში, შემდეგ იყო უნივერსიტეტი და კვლავ ჩვენთან დაბრუნდი უკვე კოლექტივის ხელმძღვანელის პოსტზე, არ იშურებდი კოლექტივში გაჭირვებული ხალხისთვის ხელის გაწვდომას და დახმარებას. ყოველთვის სარგებლობდი კარგი ავტორიტეტით. სამშობლოს გაუზარდე ორი სასახელო შვილი და უზრდიდი შვილიშვილებს.

მსუბუქი იყოს, რეზო, შენს გულზე დაყრილი მშობლიური მიწა, განისვენე იქ, სადაც მართალნი განისვენებენ.

გემშვიდობებით შენი კოლექტივის წევრები.

ს/ს „ხაშურის მინის-ტარა“-ს კოლექტივი

ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის, კულტურის, ახალგაზრდულ საქმეთა და სპორტის სამსახურის თანამშრომლები თანაუგრძნობენ დავით ჯობაძეს მამის

რევაზის გარდაცვალების გამო.

გაზეთ „ხაშურის მოამბის“ რედაქცია იუწყება, რომ გარდაიცვალა ხაშურის მუნიციპალიტეტის ყოფილი გამგებელი

რევაზ ჯობაძე

და თანაუგრძნობს გარდაცვლილის ოჯახს.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი **გიორგი გოგალაძე,**
მისამართი: **ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2.** ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe 2015@.gmail.com საბანკო რეკვიზიტები: სს „ლიბერთი ბანკის“ ხაშურის ფილიალი,
საიდენტიფიკაციო კოდი **443860984,** ბანკის კოდი **LBRTGE22,** ანგარიში **GE80LB0115114434590001**.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით
გაზეთი გამოდის სამშაბათობით და იბეჭდება თბილისში.
რედაქტორი **რობერტ სუხიაშვილი.**